ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N63

2023 წლის 25 ოქტომბერი
ქ. ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ასლან საგანელიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვა

საშემოსავლო ნაწილი

(ათას ლარებში)

შემოსულობები შესრულებულია 90 %-ით. გეგმიური 16807,1 ათ. ლარი, შემოსულია 15183,2 ათ.ლარი.

მათ შორის:

1. **შემოსავლები** შესრულებულია 90 %-ით. გეგმიური 16280,2 ათ. ლარი, შემოსულია 14804,9 ათ.ლარი. აქედან:

გადასახადები შესრულებულია 101% -ით. გეგმიური 8516,9 ათ. ლარი, შემოსულია 8619,7 ათ.ლარი.

მათ შორის:

- გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე შესრულებულია 100 %. გეგმიური 7654,4 ათ.ლარი, შემოსავალი არის 7716,6 ათ ლარი. (დამატებითი ღირებულების გადასახადი).
- ქონების გადასახადი შესრულებულია 104 %-ით. გეგმიური 862,5 ათ. ლარი, შემოსავალი არის 903,1 ათ. ლარი.

გრანტი ცენტრალური ბიუჯეტიდან შესრულებულია 84 %-ით. გეგმიური 6502,0 ათ. ლარიდან, ათვისებულია 5461,6 ათ. ლარი. აქედან:

1. **სხვა შემოსავლები**შესრულებულია 57 %-ით. გეგმიური 1261,3 ათ. ლარი, შემოსულია 723,6 ათ. ლარი. მათ შორის:
   - ✓ **შემოსავლები საკუთრებიდან** შესრულებულია 46%-ით. ნაცვლად გეგმიური 637,7 ათ. ლარისა, შემოსულია 293,4 ათ. ლარი. მათ შორის:
     - ➢ პროცენტები შემოსულია 121,4 ათ,ლარი;
     - ➢ მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 169,5 ათ, ლარი;
     - ➢ შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურქრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსულია 2,5 ათ, ლარი;
   - ✓ შემოსავლები **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** შესრულებულია77%-ით. ნაცვლად გეგმიური 146,0ათ. ლარისა, შემოსულია 113,0 ათ. ლარი. მათ შორის:
     - ➢ ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადელები შემოსულია 73,2 ათ. ლარი;
     - ➢ არა საბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები (იჯარა, ქირავნობა) შემოსულია 39,6 ათ. ლარი;
   - ✓ **სანქციები, ჯარიმები და საურავები** შესრულებულია 37 %-ით. გეგმიური 210,0 ათ. ლარისა, შემოსულია 78,9 ათ. ლარი. მათ შორის:
     - ➢ „საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო“ შემოსულია 64,8 ათ. ლარი;
     - ➢ „სხვა დანარჩენი ადმინისტრაციული სამართალდარღვევეის გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობასა და კავშირგაბმულობის ხარჯში“ შემოსულია 4,9 ათ. ლარი;

- „შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო“ შემოსულია 3,0 ათ. ლარი;
- „შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმარტველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინ. სამართალდარღვევების გამო“ შემოსულია 5,3 ათ. ლარი;
- „თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარრვევის გამო“ შემოსულია 150 ლარი;
- „შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინ. სამართალდარღვევის გამო“ შემოსულია 200 ლარი;

✓ **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული** შესრულებულია 89 %-ით. ნაცვლა დგეგმიური 267,6 ათ. ლარისა, შემოსულია 238,5 ათ. ლარი.

- „შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან“ შემოსულია 218,6 ათ. ლარი;
- „წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები“ შესრულებულია 19,7 ათ. ლარი;

2. **არაფინანსური აქტივების კლება** შესრულებულია 71%-ით. ნაცვლად გეგმიური 526,9 ათ. ლარისა, შემოსულია 378,3 ათ. ლარი.
   - „არასაცხოვრებელი შენობები“ შემოსულია 28,9 ათ. ლარი;
   - „სტრატეგიული მარაგები“ შემოსულია 2,6 ათ. ლარი;
   - „მიწა“ შემოსულია 346,7 ათ. ლარი;

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გადასახდელების გეგმა შესრულებულია 84%-ით. გეგმა 19 805,5 ათ ლარი, ფაქტიური შესრულება 16 682,8 ათ.ლარი.

1. ხარჯები ათვისებულია 89 %-ით. გეგმიური 9 907,0 ათ.ლარი, შესრულება შეადგენს 8 837,8ათ.ლარს.

მათ შორის:

დასახელება	გეგმა	ხარჯი	პროცენტი
შრომის ანაზღაურება	2260,9	2116,6	94
საქონელი და მომსახურება	2064,3	1721,6	83
პროცენტი	32,0	21,9	69
სუბსიდია	4548,9	4166,9	92
სოციალური უზრუნველყოფა	638,9	518,7	81
სხვა ხარჯები	362,1	292,0	81
არაფინანსური აქტივების ზრდა	9838,5	7791,1	79
ვალდებულების კლება	60,0	53,9	90

პრიორიტეტი - 01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
სულშესრულებულია 83 %-ით. გეგმიური5236,8 ათ.ლარი, ათვისებულია 4352,7 ათ. ლარი.

პროგრამები:

01 01 საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა
სულ შესრულებულია 83 %-ით. გეგმიური 5134,7 ათ.ლარი, ათვისებულია 4277,0 ათ. ლარი.
მათ შორის:

- **01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულო**

სულ შესრულებულია 85%-ით . გეგმიური 855,3 ათ.ლარი, ათვისებულია 727,7 ათ. ლარი.
ხარჯები ათვისებულია85%-ით . გეგმიური 845,3 ათ.ლარი, ათვისებულია 721,1 ათ. ლარი.

- **01 01 02 მუნიციპალიტეტის მერია**

სულ შესრულებულია 83 %-ით. გეგმიური 4215,9 ათ.ლარი, ათვისებულია 3492,3 ათ. ლარი.
ხარჯები ათვისებულია 94 %–ით. გეგმიური 2146,2 ათ. ლარი, ათვისებულია 2019,5 ათ. ლარი.

- **01 01 03 სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური**

სულ შესრულებულია 90%-ით. გეგმიური 63,5 ათ.ლარი, ათვისებულია 56,9 ათ. ლარი.
ხარჯები ათვისებულია 63,5 %-ით. გეგმიური 56,9 ათ.ლარი, ათვისებულია 90 ათ. ლარი.

01 02 საერთო დანიშნულების ხარჯები
სულ შესრულებულია 74 %-ით. გეგმიური 102,2 ათ.ლარი, ათვისებულია 75,8 ათ. ლარი.

- **01 02 01 სარეზერვო ფონდი** გეგმა 30,0 ათ. ლარი. ათვისებულია 14,8 ათ. ლარი: უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებისათვის.

- **01 02 03 მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა** შესრულებულია 82 %-ით. გეგმიური 92,0 ათ.ლარი, ათვისებულია 75,8 ათ. ლარი.

პროცენტი შესრულებულია 69%-ით. გეგმიური 32,0 ათ. ლარი, ათვისებულია 21,9 ათ. ლარი.
ვალდებულებების კლება შესრულებულია 90%-ით. გეგმიური 60,0 ათ. ლარი, ათვისებულია 53,9 ათ. ლარი.

პრიორიტეტი - 02 00 ინფრასტრუქტურის განვითარებასულ შესრულებულია 82 %-ით. გეგმიური 9269,7 ათ.ლარი, ათვისებულია 7632,1 ათ. ლარი.

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
სულ შესრულებულია 96 %-ით. გეგმიური 3124,5 ათ.ლარი, ათვისებულია 2989,5 ათ. ლარი.
აქედან:

- **02 01 01 გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება** შესრულებულია 80 %-ით. გეგმიური 570,5 ათ.ლარი, ათვისებულია 456,1 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში სამუშაოები ჩატარდა მუნიციპალიტეტის 35 სოფელში, შეკეთებული იქნა დაახლოებით 320 კილომეტრამდე გზა. სტიქიური პროცესების გამო

რამდენჯერმე მოხდა ერთიდაიგივე სოფელში შესვლა. სამუშაოების წარმოება მიმდინარეობს საჭიროებებიდან გამომდინარე მოთხოვნმების შესაბამისად.

- **02 01 02 გზების კაპიტალური შეკეთება** შესრულებულია 99 %-ით. გეგმიური 2553,9 ათ.ლარი, ათვისებულია 2533,4 ათ. ლარი.

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროექტები:
  - ✓ სოფელ წესში სასოფლო გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი - 288921,00 ლ. მოეწყო 1,1 კმ ა/ბეტონის საფარი;
  - ✓ სოფელ პირველი ტოლის სასოფლო გზის რეაბილიტაცია მეორე ეტაპი - 207536 ლ. მოეწყო 0,56 კმ ა/ბეტონის საფარი;
  - ✓ სოფელ ძირაგეულის სასოფლო გზის რეაბილიტაცია მეორე რიგი - 423452,00 ლ. მოეწყო 1,51 კმ ა/ბეტონის საფარი;
  - ✓ სოფელ სადმელში სასოფლო გზის რეაბილიტაცია მეორე ეტაპი - 864564,00 ლ. მოეწყო 1,616 კმ ბეტონის საფარი ;
  - ✓ ქ.ამბროლაურში მე-7 ქუჩისა და გურგენიძის ჩიხის ა/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაები - 215445,00 ლ. მოეწყო 0,48 კმ ა/ბეტონის საფარი;
  - ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სადმელში სასტუმროების კომპლექსთან ენუქიძეების და ოშხერლების უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 313018,00 ლარი - მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმება;
  - ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიმშში ჭიჭინაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია - 352800,00 ლარი - მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმება;
  - ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ იწაში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია - 500 000,00 ლ. მოეწყო 1,5 კმ ა/ბეტონის საფარი;

02 02 წყლის სისტემების განვითარება

სულშესრულებულია 83 %-ით. გეგმიური 1257,6 ათ.ლარი, ათვისებულია 1040,5ათ. ლარი. აქედან:

- **02 02 01 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** შესრულებულია 85 %-ით. გეგმიური 372,3 ათ.ლარი, ათვისებულია 317,6 ათ. ლარი. მათ შორის:

- **02 02 01 01 წყლის სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი**შესრულებულია 61 %-ით. გეგმიური 70,0 ათ.ლარი, ათვისებულია 42,5 ათ. ლარი.

  პროგრამის ფარგლებში ფინანსდება წყლის სატუმბი სისტემების მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის ხარჯი. საანგარიშო პერიოდში სოფ. ნიკორწმინდის წყლის სატუმბი სისტემის სრული დატვირთვით მუშაობის საჭიროება არ დადგა და შესაბამისად არ მოხდა გეგმის ათვისება.

- **02 02 01 02 წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა** შესრულებულია 91 %-ით. გეგმიური 302,3 ათ.ლარი, ათვისებულია 275,1 ათ. ლარი.

  პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ მუნიციპალური წყალმომარაგების მოვლა-შენახვის ცენტრი, რომლის ძირითადი ფუნქციაა მუნიციპალიტეტის სოფლებში უკვე არსებული წყლის ცენტრალური მაგისტრალების წერტილოვანი შეკეთება. სოფლების წყალმომარაგების სისტემის ცენტრალური მაგისტრალისა და შიდა ქსელის საერთო სიგრძე აღემატება 410 კმ. საანაგარიშო პერიოდში თითქმის ყოველდღიურად ახორციელებდა სამსახური სხვადასხვა სოფლებში წყალსადენის ქსელის აღდგენით სამუშაოებს. პეროდულად ა(ა)იპ ახდენს წყლის მაგისტრალების შემოვლა-შემოწმებას.საანაგრიშო პერიოდში მოხდა 409 დაზიანების აღდგენა.

- **02 02 02 წყლის სისტემების რეაბილიტაცია** შესრულებულია 82 %-ით. გეგმიური 885,3 ათ.ლარი, ათვისებულია 722,9 ათ. ლარი.

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ✓ ხონჭიორის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოები - 347347,00 ლ.
- ✓ სოფელ გორის დასახლების თამარ მეფის ქუჩის წყალმომარაგების მეორე ეტაპის სამუშაოები - 95554,00 ლ.
- ✓ სოფელ ბაჯში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოები - 96510,00 ლ.

გეგმის სრულიად შეუსრულებლობა გამოიწვია შემდეგმა გარემოებებმა:

- დაიგეგმა სოფ.ნიკორწმინდაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის 40000 ლარი, პროექტირებისას დადგინდა, რომ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა გაცილებით მეტი ფინანსური რესურსი. შესაბამისად თანხა დარჩა აუთვისებელი.
- სოფელ გაღმა ბარეულის წყალმომარაგების მეორე ეტაპის სამუშაოები - 255691,00 ლარი - მიმდინარეობს მიწოდების ვადაგადაცილებით, დასრულდება ოქტომბრის თვეში;
- სოფელ ღადიშში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები - 5759 ლარი - ტენდერი გამოცხადებულია;
- სოფელ ურავში წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები - 56510,00 ლარი - ტენდერი გამოცხადებულია;

02 03 „გარე განათება“ სულ შესრულებულია84 %-ით. გეგმიური 597,0 ათ.ლარი, ათვისებულია 500,2 ათ. ლარი.
მათ შორის:
02 03 01 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია შესრულებულია 97 %-ით. გეგმიური 501,3 ათ.ლარი, ათვისებულია 485,0 ათ. ლარი.

მათ შორის:

- **02 03 01 01 გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება** შესრულებულია 97 %-ით. გეგმიური 300,0 ათ.ლარი, ათვისებულია 291,0 ათ. ლარი.

- **02 03 01 02 გარე განთების ქსელის მოვლა-პატრონობა** შესრულებულია 96 %-ით. გეგმიური 201,3 ათ.ლარი, ათვისებულია 194,0 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური. მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განლაგებულია 6220 ერთეული სანათი წერტილი, მათ შორის ქალაქ ამბროლაურში 2880, ხოლო სოფლებში 3340 სანათი წერტილი, გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის სამსახური ახდენს მწყობრიდან გამოსული სანათი მოწყობილობების შეცვლას; ამორტიზებული და დაზიანებული ელ.ბოძების ახლით ჩანაცვლებას; დაზიანებულიელ.სადენების შეცვლას.

- **02 03 02 კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში** შესრულებულია 16 %-ით. გეგმიური 95,7 ათ. ლარი, ათვისებულია 15,2 ათ. ლარი.

თანხის აუთვისებლობა გამოიწვია ქალაქ ამბროლაურის ბრატისლავა რაჭის ქუჩაზე გარე განათების დემონტაჟისა და ახალი სანათების მოწყობის სამუშაოების დაუსრულებლობამ საანგარიშო პერიოდისათვის (სახელშეკრულებო ღირებულება 75572,97 ლ.)

- **02 04 სტიქიის პრევენცია, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია**

სულ შესრულებულია 25 %-ით. გეგმიური 1,165 ათ.ლარი, ათვისებულია 290,714 ათ. ლარი.

გეგმის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო შემდეგი პროექტები, რომელთა დასრულებაც სანგარიშო პეიოდისათვის ვერ მოესწრო სხვადასხვა მიზეზთა გამო:

- ქ. ამბროლაურში გამსახურდიას ქუჩის მიმდებარედ მდ.კრიხულაზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები - 174728,71 ლარი - სამუშაოები მიმდინარეა;

- ქალაქ ამბროლაურში, მდინარე კრიხულაზე რ/ბეტონის დამცავი ჯებირის მოწყობის სამუშაოები - 304763.56 ლარი - პროექტი მიმდინარეა;
- ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფელს ხვავაში, ეკლესიის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 76500.00 ლარი - დასრულებულია;
- სოფელ წესში მდინარე რიონისა და მდინარე ლუხუნის შესართავთან ნაპირსამაგრის მოწყობისსამუშაოები - 552764.00 ლარი - ხელშეკრულება გაფორმდა სექტემბრის თვეში - მიმდინარეა პროექტი;
- სოფელ ღვიარაში მდინარე რიონზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები 505505.00 ლარი - ხელშეკრულება გაფორმდა სექტემბრის თვეში - მიმდინარე სამუშაოები;

02 06 კეთილმოწყობის ღონისძიებები შესრულებულია 98 %-ით. გეგმიური 1469,7 ათ.ლარი, ათვისებულია 1446,8 ათ. ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროექტები:
- ქ. ამბროლაურში ბრატისლავა რაჭის ქუჩის რეაბულიტაცია - 146181,00 ლ.
- სოფელ ხოტევში ,,ნასხვეტას წყაროს'' კეთილმოწყობის სამუშაოები - 259911,00 ლ.
- სოფელ წესში ბარაკონის ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოს გალავანის, ტერიტორიის კეთილმოწყობის და სოფელ კვაცხუთში ,,ხიდიკრის კლდეკარის'' განათების მოწყობის სამუშაოები - 368205 ლ.
- ქ.ამბროლაურში მდ.კრიხულას სანაპიროზე სოციალურ-კულტურული და კულტურული როლის გაზრდის მიზნით მრავალფუნქციური ცენტრის მშენებლობა - 522 535,00 ლ. (მიმდინარე ტენდერი);
- ქ.ამბროლაურში დავით აღმაშენებლისა და კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩებზე ღობეების მოწყობის სამუშაოები - 86 341 ლ. (მიმდინარე ტენდერი);

02 07 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა შესრულებულია 86 %-ით. გეგმიური 772,0 ათ.ლარი, ათვისებულია 664,9 ათ. ლარი.

ხელშეკრულებები გაფორმებულია 69 სოფლის პროექტზე:
გარე განათების მოწყობა- 11;
შიდა გზების რეაბილიტაცია - 14;
სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია - 23;
სკვერის კეთილმოწყობა -5;
სანიაღვრე არხების მოწყობა - 3;
ხიდ-ბოგირებისმოწყობა- 2;
მოედნებისა და სასაფლაოს შემოღობვა- 5;
ადმინისტრაციის შენობის რეაბილიტაცია- 1;
მოსაცდელის მოწყობა- 1;
სპორტული მოედნების კეთილმოწყობა- 1.
აქედან 01 ოქტომბრის მდგომარეობით დასრულებულია 62 პროექტი.

02 08 სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია შესრულებულია 48 %-ით. გეგმიური 112,6 ათ.ლარი, ათვისებულია 54,4 ათ. ლარი.

თანხის აუთვისებლობა ძირითადად გამოიწვია რამდენჯერმა არ შემდგარმა ტენდერებმა.
- სოფელ სადმელში ქართველიშვილების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 11304.00 ლარი - ტენდერი არ შედგა რამოდენიმეჯერ, ამჯერად მიმდინარე ტენდერია;
- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხეთში მდ.ხეორზე და მდ.ლუხუნზე არსებული ხიდ-ბოგირების რეაბილიტაციის სამუშაოები - 19119,00 ლარი - მიმდინარე ხელშეკრულება;
- სოფ. ჭრებალოში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები - 4565,00 ლარი - მიმდინარე ხელშეკრულება.

- სოფელ სადმელში შაუთიძეების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 37449,85 ლარი - მიმდინარე ხელშეკრულება;

02 09 რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექინკური ზედამხედველობის დაფინანსება შესრულებულია 72 %-ით. გეგმიური 359,0 ათ.ლარი, ათვისებულია 258,9 ათ. ლარი.

პროგრამის ფარგლებში თანხების გაცემა ხდება დადასტურებული შესრულების მიხედვით.პროექტირება მიმდინარეობს შემდეგი პროექტების:

- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ წესში, სოფ ურავში,სოფ პატარაონი- ტბეთის გზაზე სახიდე გადასასვლელების და სოფ. წესში მდ.რიონზე რეგულაციის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენა - 9000,00 ლარი - ტენდერი არ შედგა რამოდენიმეჯერ;
- ა.ა.ი.პ ,,ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის" შენობის მეორე სართულის გათბობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 3000,00 ლარი - მიმდინარე ხელშეკრულება.
- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. შხივანის სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 9500,00 ლარი - მიმდინარე ხელშეკრულება.

02 10 სატრანსპორტო მომსახურება შესრულებულია 94 %-ით. გეგმიური 412,3 ათ.ლარი, ათვისებულია 386,1 ათ. ლარი.

პროგრამიდან ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

პრიორიტეტი - 03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა შესრულებულია 92 %-ით. გეგმიური 965,8 ათ.ლარი, ათვისებულია 887,0 ათ. ლარი.

პროგრამები:

- **03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა** შესრულებულია 92 %-ით. გეგმიური 857,1 ათ.ლარი, ათვისებულია 785,2 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური, რომელიც საანგარიშო პერიოდში ინტენსიურად ახორციელებდა ქალაქის ქუჩების (71150 მ^2), ტროტუარების (15985 მ^2), გაზონებისა (6555მ^2) და სკვერების (19293 მ^2) დასუფთავებას; ასევე სუფთავდება ქალაქის ორი საზოგადოებრივი საპირფარეშო ყოველდღიურად. ქალაქ ამბროლაურის გარდა მუნიციპლაიტეტის 3 სოფელში (წესი, ნიკორწმინდა, ჭრებალო) ხორციელდება ცენტრალური მოედნებისა და საზოგადოებრივი საპირფარეშოების დასუფთავება. ნაგვის შეგროვებისა და გატანის მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულია 688 კონტეინერი, მათ შორის ქ. ამბროლაურში 170 ც. და სოფლებში 518 ც. კონტეინერი. ქ. ამბროლაურში კონტეინერების დაცლა ხდება ყოველდღიურად, ხოლო სოფლებში კვირაში 4–ჯერ, ზაფხულის პერიოდში კი კვირაში 6–ჯერ. საანგარიშო პერიოდში შეგროვებულია და ნაგავსაყრელზე გატანილია დაახლოებით 17100მ^3 საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

- **03 02 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება** შესრულებულია 99 %-ით. გეგმიური 73,9 ათ.ლარი, ათვისებულია 73,4 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური, რომელმაც საანაგრიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი სახის სამუშაოები: შემოიბარა ქალაქის ტერიტორიაზე ნერგები და შეთეთრდა ქალაქისა და აეროპორტის ტერიტორიაზე არსებული 890 ძირამდე ხე; 2–ჯერ გაითიბა გაზონები და სკვერები; ტროტუარებზე არსებული ბალახი შეიწამლა

ჰერბიციდებით; შეიღება განათების ბოძები და კრიხულის ხიდის მოაჯირი; დაითესა კოინდარი განმეორებით 550 m^2 ტერიტორიაზე. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1595 ჰა ტყის მასივების დაცვითი სამუშაოები.

პრიორიტეტი - 04 00 განათლება შესრულებულია 94 %-ით. გეგმიური 1487,5 ათ.ლარი, ათვისებულია 1396,3 ათ. ლარი.

პროგრამები:

- **04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა** შესრულებულია 97 %-ით. გეგმიური 1032,8 ათ.ლარი, ათვისებულია 1000,4 ათ. ლარი.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 13 საბავშვო ბაღი; ამბროლაურის საბავშვო ბაღშია 5 ასაკობრივი და ერთი შერეული ჯგუფი; სოფელ ჭრებალოს საბავშვო ბაღში ფუნქციონირებს ორი ასაკობრივი ჯგუფი, დანარჩენი საბავშვო ბაღები დაკომპლექტებულია შერეული ჯგუფებით, სადაც სწავლება მიმდინარეობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით მომზადებული 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვის განვითარების სტანდარტებზე დაყრდნობით შემუშავებული სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით. მიმდინარე წელს ბაღი 91 აღსაზრდელმა დაამთავრა, ხოლო 2023-2024 წლისათვის ივლისის თვეში დარეგისტრირებულ აღსაზრდეთა რაოდენობამ შეადგინა 303.

- **04 03 განათლების ღონისძიებები**შესრულებულია 75 %-ით. გეგმიური 55,0 ათ. ლარი, ათვისებულია 41,3 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთადაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები განათლების სფეროს წარმომადგენელთათვის საპატიო წოდებების მინიჭებას და/ან ფულადი ჯილდოების გადაცემას; მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის სტუდენტთათვის (სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან - 65001 ქულამდე) სწავლის საფასურის ანაზღაურებას; კულტურულ-გამაჯანსაღებელ საზაფხულო ბანაკში დასვენებას. ასევე ხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების დაფინანსება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ საგანმანათლებლო პორტალი ,,izrune.ge" მომსახურების შესყიდვა საერთო ღირებულებით 3000 (სამიათასი) ლარი, ათვისებულია 1500 ლარი;
- ✓ საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონის"(3980ლარი) მომსახურებისშესყიდვა;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის სოც. დაუცველი 10 სტუდენტების დაფინანსება (15512 ლარი);
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 6 (ექვსი) სოციალურად დაუცველ, - წარჩინებულ მოსწავლეთათვის გადასაცემად შეძენილ იქნა პორტატული კომპიუტერები (საერთო ღირებულება - 9270 ლარი);
- ✓ შეძენილ იქნა პირველკლასელთათვის გადასაცემად წიგნი - სახელმძღვანელო ,,პირველკლასელთა აკადემია" 96 ეგზემპლარი, საერთო ღირებულებით 2400 ლარი;
- ✓ ამბროლაურის ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნის ფონდის ოპტიმიზაციის მიზნით შეძენილ იქნა ქართული და მსოფლიო ლიტერატურის 33 ეგზემპლარი, საერთო ღირებულებით - 594 ლარი;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის პროგრამის განხორციელება 18 ბენეფიციარისთვის - საერთო ღირებულება - 19922 ლარი;

- **04 04 ა(ა)იპ ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის** ბიუჯეტი შესრულებულია 86 %-ით. გეგმიური 179,9 ათ.ლარი, ათვისებულია 154,6 ათ. ლარი.

დაწესებულებამ წარმატებით განახორციელა კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება „მოაზროვნე"; ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი 2023"; ცენტრის ორგანიზებით, მსოფლიო მემკვიდრეების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიება, რომლის მთავარ თემას წარმოადგენდა „დედა ენა - ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა" (UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო ნუსხაში ნომინირებული ძეგლი); პროექტ „ძველი დიდების ნაკვალევზე" ფარგლებში მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის შემეცნებითი ჯგუფის წევრებმა იმოგზაურეს თურქეთში. პროექტის „რა სამშობლო გვქონია" ფარგლებში - იმოგზაურეს კახეთის მხარეში. აქტიური მუშაობა მიმდინარეობს პროექტ „მწიგნობარის" წარმატებით ჩასატარებლად. ცენტრში ასევე აქტიურად მუშაობს უცხო ენების შემსწავლელი წრეები.

- **04 05 საჯარო სკოლების ხელშეწყობა** შესრულებულია 91 %-ით. გეგმიური 219,7 ათ.ლარი, ათვისებულია 200,0 ათ. ლარი.

აღნიშნული პროგრამით ფინანსდება მოსწავლეთა ტრანსპორტირებადა საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ინფრასტრუქტურის მიმართულებით, საანგარიშო პერიოდისათვის განხორციელდა სადმელის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები.

პრიორიტეტი - 05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი შესრულებულია 86 %-ით. გეგმიური 2022,1 ათ.ლარი, ათვისებულია 1739,0 ათ. ლარი.

პროგრამები:

05 01 სპორტის სფეროს განვითარება. შესრულებულია 90 %-ით. გეგმიური 820,9 ათ.ლარი, ათვისებულია 734,8 ათ. ლარი.

აქედან :

05 01 01 სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა შესრულებულია 90 %-ით. გეგმიური 820,0 ათ.ლარი, ათვისებულია 734,0 ათ. ლარი.

- **05 01 01 01 ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა** შესრულებულია 93 %-ით. გეგმიური 312,5 ათ.ლარი, ათვისებულია 291,7 ათ. ლარი.

სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სპორტის სახეობები:

- ✓ კალათბურთი;
- ✓ ფრენბურთი;
- ✓ ჭადრაკი;
- ✓ მაგიდის ჩოგბურთი;
- ✓ კარატე;
- ✓ სამბო, ძიუდო;

სკოლას სპორტის ყველა სახეობაში აქვს გარკვეული წარმატებები. საანგარიშო პერიოდში განახორციელა, როგორც ადგილობრივი, ისე გასვლითი ღონისძიებები.მიმდინარე წელს განსაკუთრებული შედეგებით გამოირჩევა მაგიდის ჩოგბურთის სექცია. სკოლის მოსწავლე აყვანილია საქართველოს ნაკრებში, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ჩემპიონატზე. „რაჭის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში" მონაწილეები წარმოდგენილი იყვნენ ქვეყნის ყველა კუთხიდან (120 მონაწილე) სასპორტო სკოლის მოსწავლეება წარმატებით იასპარეზეს და 5 მედალი მოიპოვეს (ერთი პირველი ადგილი; ერთი მეორე ადგილი; სამი მესამე ადგილი); გამარჯვებულებს გადაეცათ მედლები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები;

წარმატებები აქვთ სკოლის კარატისტებს, მათ სხვადასხვა ღონისძიებებზე დაიკავეს 12 საპრიზო ადგილი. საქართველოს პირველობაზე ამჟამად ნაკრები გუნდის ერთი წევრია წარდგენილი, რომელიც მონაწილეობა სმიიღებს ევროპის პირველობაზე.

ქ. ამბროლაურში ჩატარდა ღია პირველობა კუნგ-ფუში, რომელშიც ქვეყნის 100-მა კარატისტმა მიიღო მონაწილეობა. სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა მოიპოვეს 5 პირველი ადგილი, 6 მეორე ადგილი, სულ 11 მედალი.

სკოლის საკალათბურთო გუნდმა მონაწილეობა მიიღო 16 წლამდელთა გათამაშებაში, სადაც 2 თამაში მოიგეს და საბოლოო ჯამში ჯგუფში მეოთხე ადგილი დაიკავეს, ხოლო რეგიონისპირველობაზე 16 წლამდელთა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა.

სკოლამ მონაწილეობა მიიღო ჩოხიან ჭიდაობაში ქ. ცაგერის ღია პირველობაზე, სადაცსაქართველოს ექვსი გუნდი მონაწილეობდა და სასპორტო სკოლის გუნდმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა;

ფრენბურთის მიმართულებით წვრთნას გადის 30 მოსწავლე. პატარა ასაკში რეგიონის პირველობაზე სკოლამ დაიკავა პირველი ადგილი;

სკოლის მოსწავლეები წარმატებებით ასპარეზობენ ჭადრაკის მიმართულებითაც. საქართველოს საუკეთესო მოჭადრაკეთა ათეულში არიან სასპორტო სკოლის მოსწავლეები. „რაჭის ღია პირველობა ჭადრაკში“ მონაწილეობა მიიღო 160 მოჭადრაკემ სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან. ჩემპიონი გახდა სასპორტო სკოლის მოჭადრაკე.

სასპორტო სკოლის ორგანიზებით მოეწყო საცხენოსნო ტურნირი, სადაც მონაწილეობდა სხვადასხვა რეგიონის 50 მხედარი. მთავარი პრიზი ამბროლაურელმა მხედარმა მოიპოვა.

- **05 01 01 02 ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი“-ს ბიუჯეტი**

შესრულებულია 85 %-ით. გეგმიური 204,6 ათ.ლარი, ათვისებულია 174,5 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში ჭიდაობის კლუბი ფალავანის სპორტსმენები აქტიურად და წარმატებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონისძიებებში.

2023 წლის 9 თვის საერთო შემაჯამებელი შედეგი:

1. საქართველოს პირველობა - 5 ღონისძიება, სულ 21 მედალი.
   I ადგილი - 7 მედალი.
   II ადგილი - 5 მედალი.
   III ადგილი -9 მედალი.
2. რესპუბლიკური ტურნირი - 6 ღონისძიება, სულ 35 მედალი.
   I ადგილი - 14 მედალი.
   II ადგილი - 6 მედალი.
   III ადგილი - 15 მედალი.
3. საერთაშორისო სარეიტინგო ტურნირი -2 ღონისძიება, სულ 5 მედალი.
   I ადგილი - 1 მედალი.
   II ადგილი - 1 მედალი.
   III ადგილი - 3 მედალი.
4. ევროპის პირველობა - 2 ღონისძიება, სულ 2 მედალი.
   I ადგილი - 0 მედალი.
   II ადგილი - 1 მედალი.
   III ადგილი - 1 მედალი.
5. მსოფლიოს პირველობა - 1 ღონისძიება, სულ 0 მედალი.
   I ადგილი - 0 მედალი.
   II ადგილი - 1 მედალი.
   III ადგილი - 2 მედალი.

2023 წლის საუკეთესო სპორტსმენი, რომლებმაც ასახელეს ა.ა.ი.პ. ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი“ და ამბროლაურის მუნიციპალიტეტი:

1. **ვლადიმერ გამყრელიძე** - ევროპის ვიცე ჩემპიონი 23 წლამდელთა შორის.

- მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი დიდებს შორის.

2. **გიორგი გოგრიჭიანი** – ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი 23 წლამდელთა შორის.
   - მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი ახალგაზრდებს შორის.
3. **საბა კობახიძე** - ევროპის ვიცე ჩემპიონი 20 წლამდელთა შორის.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები 2023 წელი

1. დიდების ნაკრები:
   70 კგ. წონით კატეგორიაში, გიორგი ელბაქიძე - პირველი ადგილი;
   74 კგ. წონით კატეგორიაში, ათანდილ კენჭაძე - პირველი ადგილი;
   74 კგ. წონით კატეგორიაში, გიორგი გოგრიჭიანი - მესამე ადგილი;
   79 კგ. წონით კატეგორიაში, ვლადიმერ გამყრელიძე - პირველი ადგილი;

2. 23 წლამდე ახალგაზრდების ნაკრები:
   57 კგ. წონით კატეგორიაში, ნიკოლოზ სანთელაძე – მესამე ადგილი;
   70 კგ. წონით კატეგორიაში, საბა კობახიძე – მესამეა დგილი;
   74 კგ. წონით კატეგორიაში, გიორგი გოგრიჭიანი - პირველი ადგილი;
   74 კგ. წონით კატეგორიაში, სანდრო სარდანაშვილი – მეორე ადგილი;
   79 კგ. წონით კატეგორიაში, ვლადიმერ გამყრელიძე – პირველი ადგილი;

3. ახალგაზრდების ნაკრები:
   57 კგ. წონით კატეგორიაში, ნიკოლოზ სანთელაძე – მესამე ადგილი;
   65 კგ. წონით კატეგორიაში, ნიკოლოზ ბეშიძე – მეორე ადგილი;
   65 კგ. წონით კატეგორიაში, ბეჟანი ბარსონიძე - მესამე ადგილი;
   70 კგ. წონითი კატეგორია, საბა კობახიძე - პირველი ადგილი;
   74 წონითი კატეგორია, გიორგი გოგრიჭიანი - პირველი ადგილი;
   74 წონითი კატეგორია, ვანო გაგუა – მეორე ადგილი;
   79 კგ. წონითი კატეგორია, ოთარი დოხნაძე - მესამე ადგილი;
   125 კგ. წონითი კატეგორია, სანდრო ირემაძე - მესამე ადგილი;

4. ჭაბუკების ნაკრები:
   80 კგ. წონით კატეგორიაში, ლუკა კვატაშიძე – მეორე ადგილი;
   92 კგ. წონით კატეგორიაში, ნიკოლოზ ჩაჩხუნაშვილი – მესამე ადგილი;

5. უმცროსი ჭაბუკების ნაკრები:
   52 კგ. წონით კატეგორიაში, ბიძინა ჯინჭარაძე – მეორე ადგილი;

ტიტულები 2023 წ.:

ვლადიმერ გამყრელიძე:

- ✓ მსოფლიოს ჩემპიონატი, დიდებს შორის – ვიცე ჩემპიონი 79 კგ. წონით კატეგორია – სერბეთი.
- ✓ ევროპის ჩემპიონატი, 23-წლამდელთა შორის – ვიცე ჩემპიონი 79 კგ. წონით კატეგორია – რუმინეთი.
- ✓ საერთაშორისო სარეიტინგო ჩემპიონატი, 23-წლამდელთა შორის – ბრინჯაოს პრიზიორი 79 კგ. წონით კატეგორია – ხორვატია.

გიორგი გოგრიჭიანი:

- ✓ მსოფლიო ჩემპიონატი ბრინჯაოს პრიზიორი U20 - იორდანია.

საბა კობახიძე:

- ✓ ევროპის ჩემპიონატი ვიცე ჩემპიონი U20 - ესპანეთი.

- **05 01 01 03 ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი** შესრულებულია 98 %-ით. გეგმიური 111,7 ათ.ლარი, ათვისებულია 109,3 ათ. ლარი.

  გარკვეული მიზეზების გამოდაწესებულებამ მოქალაქეთა მიღება დაიწყო 01 ივნისიდან როგორც დახურული ისე ღია აუზით მოსარგებლეების. 9 თვის განმავლობაში საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 21 920 ლარი; მომსახურება გაეწია 190 აბონენტს, 115 ერთჯერადად შემომსვლელს; ღია აუზით ისარგებლა 623-მა მოქალაქემ; ერთ მოქალაქეს გაეწია მასაჟით მომსახურება; 200 მოსწავლეს აუზი მოემსახურა შეღავათიანი ტარიფით; საცურაო აუზის სენობის მეორე სართულზე განთავსდა ტრენაჟორების სრული კომპლექტი.

- **05 01 01 04 ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა"-ს ბიუჯეტი** შესრულებულია 88%-ით. გეგმიური 166,2 ათ.ლარი, ათვისებულია 146,8 ათ. ლარი.

იანვრის ბოლოს დაიწყო სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების საწვრთნელი პროცესები, თებერვალში შეირჩა ჩემპიონატში გამსვლელი ასაკობრივი გუნდები, დაკომპლექტდა ასაკობრივი ნაკრებები 2006-2007-2008, 2009 -2010 , 2011- 2012-2013 წელს დაბადებული მოზარდებით. აქტიურად მიმდინარეობს სოფელ ჭრებალოში საწვრთნელი პროცესები, გაზრდილია ბავშვთა რაოდენობა. აქედან გამომდინარე, კლუბმა გადაწყვიტა მეტი მოტივაციისათვის და მასობრიობისათვის საფეხბურთო კლუბ ,,რაჭას" ინდივიდუალურად გამოეყვანა გუნდი რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ რეგიონალურ ჩემპიონატში სოფელ ჭრებალოს სახელით, მხოლოდ ადგილობრივი მოზარდებით დაკომპლექტებული. კლუბი ჩაერთო იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირში U17 ასაკობრივი გუნდით 2007 და 2008 წელს დაბადებულ მოზარდებში, ამ ეტაპისათვის გუნდს ჩატარებული აქვს 22 თამაში 11 გასვლითი და 11 საშინაო მატჩი და იმყოფება მე-8პოზიციაზე. U17-ის პარალელურად , U14 ასაკობრივი გუნდიც მონაწილეობს იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირში 2009-2010 წლებში დაბადებული მოზარდებით.

კლუბმა უმასპინძლაეროვნული ლიგა2-ის წარმომადგენელს საფეხბურთო გუნდ „სპაერს" 8 დღიან შეკრებაზე.

გაფორმდა მემორანდუმი საფეხბურთო კლუბ ,,რაჭას" და საფეხბურთო კლუბ თბილისის ,,დინამოს" შორის, რაც გულისხმობს რომ საფეხბურთო კლუბ ,,რაჭას" 10 წლამდე ასაკის მოზარდები ჩაერთვებიან აღნიშნულ პროექტში, სადაც ვარჯიშები მიმდინარეობს დინამოს მეთოდოლოგიით.

ჩატარდა საფეხბურთო ფესტივალი სადაც ამბროლაური მასპინძლობდა თერჯოლის, ტყიბულის, ცაგერისა და ონის სკოლებს, გამოვლინდა ამ ტურნირის გამარჯვებული -ამბროლაურის გუნდი, რომელსაც გადაეცა გამარჯვებულის თასი, მედლები და საპატიო სიგელები. აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობდა 80 ბავშვი.

- ✓ **05 01 01 05 ა(ა)იპ რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი „ამარანტები"** გეგმა შესრულებულია 47 %-ით. გეგმიური 25,0 ათ.ლარი, ათვისებულია 11,7 ათ. ლარი.

- **05 01 02 კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში** შესრულებულია 100 %-ით. გეგმიური 0,8 ათ.ლარი, ათვისებულია 0,8 ათ. ლარი.

სოფ. ღადიშის სპორტული მოედნის განათებისათვის მოხდა ერთი ერთეული ელ. მრიცხველის შესყიდვა.

05 02 კულტურის სფეროს განვითარება შესრულებულია 85 %-ით. გეგმიური 1165,2 ათ.ლარი, ათვისებულია 990,0 ათ. ლარი.
აქედან:

05 02 01 კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა ბიუჯეტი შესრულებულია 90 %-ით. გეგმიური 842,5 ათ.ლარი, ათვისებულია 762,0ათ. ლარი.

- **0502 01 01 ა(ა)იპ ამბროლაურის კულტურის ცენტრის** ბიუჯეტიშესრულებულია 93 %-ით. გეგმიური 592,8 ათ.ლარი, ათვისებულია 550,4 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში დაწესებულებამ განახორციელა და მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქტივობებში:

- ✓ ანსამბლი "იავნანას "ჩაწერა , რუსთავი 2 ს სატელევიზიო გადაცემაში "რაჭის ახალი წელი ".
- ✓ ანსამბლ "იავნანას" მონაწილეობა ქ. თბილისში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ნინო რეხვიაშვილის წიგნის პრეზენტაციაზე.
- ✓ ანსამბლ "იავნანას" მონაწილეობა ქ.თბილისში, იმედის არხის სატელევიზიო გადაცემაში, "ღამის შოუ გიორგი გაბუნიასთან ერთად";
- ✓ სახალხო თეატრის პრემიერა "ბოსტანი კონფლიქტის ზონაში ";
- ✓ მზია ფარულავას შემოქმედებითი საღამო;
- ✓ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ანსამბლი "საგალობელი" და ქალთა ანსამბლი "იავნანა".
- ✓ ანსამბლ "საგალობელის" მონაწილეობა ფოლკლორის ცენტრის ღონისძიებაში "რაჭული ცეკვის მასტერკლასი".
- ✓ სახალხო თეატრი სიღნაღის თეატრალურ ფეტივალზე სპექტაკლით "ბოსტანი კონფლიქტის ზონაში".
- ✓ კულტ.სახლის შემოქმედებითი ჯგუფის კონცერტი "სული ქართული" ცაგერის კულტურის სახლში.

საბიბლიოთეკო სამსახური საანაგრიშო პერიოდში მოემსახურა 980 მკითხველს; გაიცა 7890 ცალი წიგნი; გასცა წერილობითი და ზეპირი ცნობები: უძველესი ცივილიზაციები და გამორჩეული ფიგურები; მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალები; საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები. საბიბლიოთეკო სამსახურმა მოაწყო პოეტ ზურაბ ჯაფარიძის საღამო - გახსენება და წიგნის კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ბენეფისი ,,ამბები ჩემზე" შეხვედრა პედაგოგ მაია დგვარელთან. მოეწყო საბიბლიოთეკო კვირეული რომლის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ,,პოეზიის დედოფალი"' ანა კალანდაძე - წესის ბიბლიოთეკა; ,,დრო სიყვარულმა გალია"- ლიტერატურული საღამო - სადმელი, ჩორჯო, ბოსტანა, ზნაკვა; ,,მომავალი ჩვენია" - ლიტერატურული საღამო - ხვანჭკარა, პირველი ტოლა, მეორე ტოლა; 10 კითხვა საქართველოს შესახებ -ლიტერატურული კონკურსი - აბანოეთი, ბუგეული; ,,ვიცნობდეთ ჩვენს მხარეს" აბარი, ლიხეთი; 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - ჟოშხა; პოეზიის საღამო ,,პაწაწინა რტო ვარ" - ღადიში, პატარა ონი.

საბავშვო ბიბლიოთეკაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1. ,,მშვიდობა და სიყვარული მზის კოცონად ენთოს მარად" 2. ,,ენაი შემკული და კურთხეული" 3. ,,მოვიარე საქართველო"; 4. ,,ბავშვები სიცოცხლის ყვავილები არიან"; 5. ,,გიყვარდეს წიგნი... ცოდნის სანატრელ გზით რომ გვატარებს".

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების (103 ძეგლი, აქედან 7 ეროვნული მნიშვნელობის) მოვლა-პატრონობის ფარგლებში, ფიქსაცია-აღრიცხვის მიზნით მიმდინარე წელს მოეწყო გასვლები სხვადასვა სოფლებში:

- სოფლების წესის, მუხლის, ხიმშის, ხიდიკრის კლდეკარის მიმართულებით გასვლის მიზანს წარმოადგენდა მუხლის ხიდზე შემორჩენილი ძველი ბურჯის დაფიქსირება, სრული სურათის აღწერა, მოსახლეობაში ხიდზე არსებული ისტორიის მოძიება. კომპლექსში დაფიქსირდა, ცნობილი ,, სორის ხიდი", ძეგლის სტატუტის მქონე ობიექტი; მოხდა მინდა ციხის ამჟამინდელი მდგომარეობის დაფიქსირება, სხვადასხვა ხედებით, რომლებიც შევადარეთ წინა წლების ფოტოებს, გააქტიურებულია ქვის ცვენა;

• ბუგეულის, საკეციის მიმართულებით. მიზანს წარმოადგენდა საკეციის ეკლესიის ეზოში გაფანტული ძველი ეკლესიის ჩუქურთმიანი ქვების მოძიება, თავმოყრა და უსაფრთხო ადგილზე განთავსება.
ასევე მოხდა სხვადასხვა ისტორიული ძეგლების დათვალიერება და დასურათება, შესაბამისად განახლდა ალბომების ელექტრონული ვერსია.

- **05 02 01 02 ა(ა)იპ ამბროლაურის ამბროლაურის სკოლის გარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლის ბიუჯეტი**
  შესრულებულია 87 %-ით. გეგმიური117,7 ათ.ლარი, ათვისებულია 102,1 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში სახელოვნებო სკოლა ახორციელებდა და ჩართული იყო სხვადასხვა ღონისძიებებში. სკოლაში ირიცხება 260 მოსწავლე. სკოლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურს-ფესტივალ „მომავლის ვარსკვლავები“ რომელიც განხორვიელდა საქართველოს ხელოვანთა კავშირის ასოციაციის ეგიდით, რომელშიც მონაწილეობდა ჩვენი სკოლის: საგუნდო ვაჟთა და გოგონათა კლასი, საესტრადო, ვაჟთა ფოლკლორული, ხალხურ საკრავთა და საფორტეპიანო მიმართულებების 50-მდემოსწავლე. საუკეთესო შესრულებით წარსდგა სკოლა კომპეტენტური ჟიურის წინაშე.

ცაგერში გაიმართა ფესტივალი „ხომლი 2023“,სადაც მიწვეული იყო ანსამბლები: „თი-ემ-სი“ და „რაშოვდა “, რომლებიც ერთ-ერთ გამორჩეულები იყვნენ საუკეთესო მონაწილე ანსამბლებს შორის. ცაგერის შემდეგ ტურნე გააგრძელა ანსამბლმა „თი-ემ-სი“ და მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის ქორეოგრაფიულ საფესტივალო მარათონში ‘ძმები მოსიები“ ფესტივალის მიზანი იყო საუკეთესო ანსამბლების საანგარიშო კონცერტზე წარდგენა, სადაც ჩვენი ანსამბლის 2 ნომერი„რაჭული“ და „ალვანური“ საუკეთესო საშემსრულებლო ნომინაციად შეფასდა. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში ხელოვნების სკოლის ყველა განყოფილების მოსწავლე და პედაგოგი იყო ჩართული; ხელოვნების სკოლის ორგანიზებით გაიმართა ფესტივალი „სახიობა რაჭაში 2023“, რომელშიც მონაწილეობდა სახელოვნებო, სამუსიკო, ქორეოგრაფიული სკოლები, სკოლა–სტუდიები. 400–მდე მოსწავლე–ახალგაზრდა იყო ჩართული ფესტივალში. ქორეოგრაფიული ანსამბლი „რაშოვდა“ გაემგზავრა ბულგარეთში საერთაშორისო ფესტივალზე, როგორც გრანპრის მფლობელი გამარჯვებული ანსამბლი ზღვის ფესტივალიდან, 25%–იანი დაფინანსებით ერთკვირიანი ტურნეთი იმყოფებოდა გასტროლზე. ქორეოგრაფიული ანსამბლი „თიემსი“ მონაწილეობდა საკონკურსო ფესტივალ–მარათონში „ჰარირა“, როელიც გაიმართა ქობულეთში. 45 მონაწილე ანსამბლს შორის „თიემსი“ დაჯილდოვდა ოქროს არწივით.

- **05 02 01 03 ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულებაამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა**
  შესრულებულია 93 %-ით. გეგმიური 66,9 ათ.ლარი, ათვისებულია 62,4 ათ. ლარი.

სამხატვრო სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი მიმართულებები:

- ✓ სახვითი ხელოვნების ჯგუფი, სადაც ირიცხება 45 მოსწავლე;
- ✓ ტიხრული მინანქრის ჯგუფი, სადაც ირიცხება 9 მოსწავლე;
- ✓ თექა, ჭრა–კერვის ჯგუფი, სადაც ირიცხება 13 მოსწავლე;
- ✓ ხალიჩა–ფარდაგის ჯგუფი, სადაც ირიცხება 10 მოსწავლე;
- ✓ ხატწერის ჯგუფი, სადაც ირიცხება 7 მოსწავლე.

საანაგრიშო პერიოდში დაწესებულებამ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: გამოფენა, სადაც სახვითი ხელოვნების ჯგუფის მოსწავლეებმა წარმოადგინეს, როგორც ფერწერული, ისე გრაფიკული ნამუშევრები; მოეწყო შიდა საკლასო გამოფენა; სამხატვრო სკოლის პედაგოგების ნამუშევრების გამოფენა მოხდა ქ. თბილისში ნათელა იამქოშვილის სახელობის საგამოფენო დარბაზში; მოეწყო ნორჩი მხატვრისგიგი გიორგობიანის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა; სკოლის სალონურ სივრცეში მოეწყო ხელოვანი დედა-შვილის ქეთევან გუგეშაშვილისა და დავით ბერიშვილის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა.

- **05 02 01 04 ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბიუჯეტი** შესრულებულია 72 %-ით. გეგმიური 65,1 ათ.ლარი, ათვისებულია 47,0 ათ. ლარი.

მუნიციპალურ მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 868 ექსპონატი. 602 ექსპონატი სახვითი ხელოვნების მუზეუმში, ხოლო 266 - აბარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუზეუმს ესტუმრა 427 ვიზიტორი. მუზეუმში წლის განმავლობაში ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები და გამოფენები. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ღონისძიებებია: ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა (მუზეუმში დაცული სცენოგრაფიების ესკიზები); ქ. ონის სამხატვრო სკოლის მოსწავლის ლუკა ლიჩელის ნახატების გამოფენა; დედის დღისადმი მიძღვნილი, მუზეუმის ფონდში დაცული, საქართველოში მოღვაწე ქალი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა; საგაზაფხულო გამოფენა; „ღამე მუზეუმში" კვირეულის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ქ. ამბროლაურის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები; მუზეუმის ფონდში დაცული მხატვარ ჯიბსონ ხუნდაძის ნამუშევრების გამოფენა; საშემოდგომო გამოფენა.

- **05 02 02 „კულტურის ღონისძიებები" პროგრამის ბიუჯეტი** შესრულებულია 61 %-ით. გეგმიური 91,4 ათ.ლარი, ათვისებულია 56,2 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთადაცვის, სპორტისადაახალგაზრდობისსაქმეთასამსახური. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

  - ✓ 26 მაისის ღონისძიების ორგანიზება;
  - ✓ ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის პროგრამის" ფარგლებში გაიცა 25 ფულადი ჯილდოს (22000 ლარის ოდენობით);
  - ✓ მუნიციპალიტეტის სკოლებში სასკოლო სპორტის კვირეულის ორგანიზება და სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023-2024 გახსნა;
  - ✓ შეძენილ იქნა ანსამბლ ,, რაშოვდა" - ზე გადასაცემად ცეკვის ფორმები 17 ცალი საერთო ღირებულებით 3400 ლარი;
  - ✓ განხორციელდ მიხეილ თურქაძის (dj somaly) მომსახურების შესყიდვა, საერთო ღირებულებით 3700 (სამიათასშვიდასი) ლარი.
  - ✓ განხორციელდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მუნიციპალური და რეგიონალური თამაშების ორგანიზება და ჩატარება, შეძენილ იქნა მედლები, სიგელები და თასი (1747.80 ლარი), ასევე ზონალურ თამაშებში მონაწილეთა ტრანსპორტირება.
  - ✓ მოეწყო ანსამბლ იავნანას წევრის მზია ფარულავას საიუბილეო საღამო, რისთვისაც შეძენილ იქნა საჩუქრები.
  - ✓ მაღალმთიან დასახლებაში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების (პროგრამაში ჩართულია 32 მწვრთნელი) მხარდაჭერის პროგრამის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

- **05 02 04 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა** შესრულებულია 74 %-ით. გეგმა 68,0 ათ. ლარი; ათვისება 50,0 ათ.ლარი.

პროგრამა ითვალისწინებს ნიკორწმინდის ეპარქიის შემადგენლობაში შემავალი ეკლესია-მონასტრებისა და მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწყობას.

- **05 02 05 გაზეთის მომსახურების დაფინანსება** შესრულებულია 89 %-ით. გეგმიური 10,5 ათ.ლარი, ათვისებულია 9,3 ათ. ლარი.პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გაზეთი „ამბროლაურის მოამბე"-ს ბეჭდვა.საანგარიშო პერიოდშიდაიბეჭდა 1800 ერთეული გაზეთი.

- **05 02 06 ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი** შესრულებულია 74 %-ით. გეგმიური 152,7 ათ.ლარი, ათვისებულია 112,4 ათ. ლარი.

ტურისტულმა ცენტრმა საანგარიშო პერიოდში კოორდინაცია გაუწია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს, ასევე ცენტრი აქტიურად ჩაერთო „მოახლეობის ფორმუმში".განხორციელდა ცენტრის ბაზაზე არსებული, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ტურისტული საფეხმავლო ბილიკების შემოვლა; მოხდა ბილიკების მონიტორინგი; მარკირების, ნიშნულებისა და საინფორმაციო დაფების აღრიცხვა; პერიოდულად ხდება არსებული ბილიკების წმენდა, რაშიც აქტურ მონაწილეობას იღებენ სოციალური პრგრამით დასქმებული ბენეფიციარები; განხლდა დაფა-ნიშნულები: 57 ისრისებური მანიშნებელი; 2 საინფორმაციო დაფა, რომლებზეც დატანილია ტექსტური და ვიზუალური ინფორმაცია, რუკა და ბილიკის აღწერილობა.მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიქსირებულია ჯამში 139 სასტუმრო და საოჯახო ტიპის სასტუმრო; 35-ღვინის მარანი. ტურისტულმა ცენტრმა საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო მომსახურება გაუწია 6537 ვიზიტორს, თუმცა სატელეფონო და ონლაინ კავშირით აქტიურდ ხდება ინფორმაციის მოთხოვნა, რომელსაც ცენტრის თანამშრომლები უწყვეტ რეჟიმში აწვდიან დაინტერესებულ პირებს.

- **05 03 „ახალგაზრდობის მხარდაჭერა"**პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 40 %-ით. გეგმიური 36,0 ათ.ლარი, ათვისებულია 14,2 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ მომზადდა და დამტკიცდა „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგზარდობის განვითარების სტრატეგია 2023 - 2025" და 2023 წლის სამოქმედო გეგმა.
- ✓ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნისთვის საჭირო ინვენტარის შეძენა - საერთო ღირებულება - 2757 ლარი;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის N90 განკარგულებით დამტკიცებული - ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსების პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდების, როგორც ქვეყნის მასშტაბით გასამართ პროექტებში მონაწილეობის, ასევე ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობას. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარს. ათვისებულია 10680 (ათი იათას ექვსას ოთხმოცი) ლარი;
- ✓ ა(ა)იპ „დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების" პროექტის ,, I see you-გაიცანი საქართველო - მარტვილის მუნიციპალიტეტის" მონაწილე ლიდერი ახალგაზრდის ბანაკში დასვენების თანადაფინანსება - 4500 ლარი;

პრიორიტეტი- 06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
შესრულებულია 82 %-ით. გეგმიური6 823,6 ათ.ლარი, ათვისებულია 675,5 ათ. ლარი.

პროგრამები:

- **06 01 ჯანმრთელობის დაცვა** შესრულებულია 80 %-ით. გეგმიური 320,4 ათ.ლარი, ათვისებულია 257,4 ათ. ლარი.

- **06 01 01 საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა**პროგრამის ბიუჯეტიშესრულებულია 79%-ით. გეგმიური 89,4ათ.ლარი, ათვისებულია 70,8 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაწესებულებაში შესულია 321 სასწრაფო შეტყობინების ბარათი ცხოველების მიერ დაკბენილებისა და დადორბლილების შესახებ, ყველა შეტყობინება გადეცა სურსათის ეროვნული სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის რეგიონალურ სამმართველოს, დამკბენ ცხოველებზე 10 დღიანი მეთვალყურეობის დასამყარებლად, დაკბენილ პაციენტებს ჩაუტარდათ ვაქცინაციის სხვადასხვა კურსი, რისთვისაც ჯანდაცვის ცენტრმა გასცა შესაბამისი დოზა ანტირაბული ვაქცინა;

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებული იქნა შემდეგი ინფექციური დაავადებები: სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა - 84; სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა - 22; ლაიმის დაავადება (ბორელიოზი) – 3; ცოფი რისკის მქონე ექსპოზიცია - 321; ძაღლებში დადასტურდა ცოფის 9 შემთხვევა, გამოკვლევა მოხდა მათთან კონტაქტში მყოფი პირების, ანტირაბიული ვაქცინით აცრების სრული კურსი ჩაუტარდა 25 ადამიანს; შიდსზე ტესტირებული - 113; შიდსზე ტესტირებული ორსულები - 37; ჩუტყვავილა -5; ტუბერკულოზი - 1;

პერიოდულად საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ტარდება მონიტორინგი პროფილაქტიკური აცრების დროულად ჩატარების აუცილებლობაზე,ჰიგიენის წესების დაცვაზე.

- **06 01 03 ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობა**პროგრამის ბიუჯეტიშესრულებულია 98 %-ით. გეგმიური 29,0 ათ.ლარი, ათვისებულია 28,5ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2023 წლის ცხრა თვის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა და დაფინანსება გაეწია 101 მოქალაქეს.

- **06 01 04 ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსება / თანადაფინანსება**პროგრაის ბიუჯეტიშესრულებულია 84 %-ით. გეგმიური 115,0 ათ.ლარი, ათვისებულია 97,1 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2023 წლის ცხრა თვის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა და დაფინანსება გაეწია 149 მოქალაქეს.

- **06 01 06 ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა** პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 92 %-ით. გეგმიური 22,0 ათ.ლარი, ათვისებულია 20,2 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2023 წლის ცხრა თვის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა და დაფინანსება გაეწია 47 მოქალაქეს.

- **06 01 07 ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსება** პროგრამის ბიუჯეტიშესრულებულია 63 %-ით. გეგმიური 65,0 ათ.ლარი, ათვისებულია 40,9 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2023 წლის ცხრა თვის განმავლობაში 77 მოქალაქეს გაეწია შესაბამისი დაფინანსება.

06 02 სოციალური დაცვა შესრულებულია 83 %-ით. გეგმიური 503,1 ათ.ლარი, ათვისებულია 418,0 ათ. ლარი.

პროგრამები:

- **06 02 01 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და საახალწლო და სააღდგომოდ სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა** პროგრამის ბიუჯეტიშესრულებულია 80 %-ით. გეგმიური 38,4 ათ.ლარი, ათვისებულია 30,9 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2023 წლის ცხრა თვის განმავლობაში ყოველდღიური უფასო კვების პროგრამით ისარგებლა 26 ბენეფიციარმა; სააღდგომო და საახალწლო სასურსათო პაკეტები გადაეცა 72 ბენეფიციარს.

- **06 02 02ახალშობილთა და ახლადშექმნილი ოჯახების ფინანსური დახმარება** პროგრამის ბიუჯეტიშესრულებული 98 %-ით. გეგმიური 36,0 ათ.ლარი, ათვისებულია 35,4 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2023 წლის ცხრა თვის განმავლობაში ახალშობილთა ერთჯერადი დაფინანსების პროგრამით ისარგებლა 60 ბენეფიციარმა; ახლადშექმნილი ოჯახების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწია 5 ბენეფიციარს.

- **06 02 03„მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება“**პროგრამის ბიუჯეტიშესრულებულია 83 %-ით. გეგმიური 1,5 ათ. ლარი, ათვისებულია 1,2 ათ.ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დაკრძალვის სარიტუალომომსახურება (4 ბენეფიციარი) და უპატრონო მიცვალებულს დაკრძალვის ხარჯი.

- **06 02 04„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შშმ პირთა ზრუნვის ხელშეწყობა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა ფინანსური დახმარება, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარე დღის ცენტრის – „ბაო“ თანადაფინანსება“**პროგრამის ბიუჯეტიშესრულებულია 86 %-ით. გეგმიური 142,0 ათ.ლარი, ათვისებულია 122,5 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.2023 წლის ცხრა თვის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 104 ბენეფიციარმა.

- **06 02 05„ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება“ პროგრამის ბიუჯეტიშესრულებულია**100 %-ით. გეგმიური 36,0 ათ.ლარი, ათვისებულია 35,9 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. საანგარიშო პერიოდში მუნიცპალიტეტის მხრიდან დაფინანსება გაეწია ხანძრით დაზარალებულ 4 ბენეფიციარს.

- **06 02 06 სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვიან ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება“** პროგრამის ბიუჯეტიშესრულებულია 98 %-ით. გეგმიური 79,0 ათ.ლარი, ათვისებულია 77,6 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება გაეწია 136 მრავალშვილიან ოჯახს.

- **06 02 07 მარჩენალდაკარგული (0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება** -შესრულებულია 67 %-ით. გეგმიური 34,8 ათ.ლარი, ათვისებულია 23,2 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება გაეწია 38 მარჩენალდაკარგულ ოჯახს.

- **06 02 08„უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა“**პროგრამის ბიუჯეტიშესრულებულია 38 %-ით. გეგმიური 25,0 ათ.ლარი, ათვისებულია 9,4 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მხრიდან, 7 ბენეფიციარია უზრუნველყოფილი ყოველთვიური ბინის ქირით.

- **06 02 09„მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება“**პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 64 %-ით. გეგმიური 5,6 ათ.ლარი, ათვისებულია 3,6ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.პროგრამის ფარგლებში 12 მარტოხელა მშობელს გაეწია ერთჯერადი დაფინანსება.

- **06 02 10„ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ფინანსური დახმარება“**პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 61 %-ით. გეგმიური 17,8 ათ.ლარი, ათვისებულია 10,8 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.დაფინანსება გაეწია 60 ომის და სამხედრო ძალების ვეტერანს.

- **06 02 11„სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება“** შესრულებულია 60 %-ით,გეგმიური 45,0 ათ. ლარი, ათვისებულია 27,0 ლარი. საანგარიშო პერიოდში ზამთრის თბობისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა 190 ბენეფიციარზე.

- **06 02 13 ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის** ბიუჯეტი შესრულებულია 96 %-ით. გეგმიური 42,0 ათ. ლარი; ათვისებულია 40,5 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება. 2023 წლის ცხრა თვის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწია სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ 72 ბენეფიციარს, ხოლო მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ 4 ოჯახს.

ნაშთის ცვლილება:

ნაშთმა 2023 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 2 717 690 ათ. ლარი.